N გ-21-03/421
22/02/2021

421-გ-21-03-2-202102221123

სს ,,სილქნეტს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ **2021 წლის 25 თებერვალს, 15:00 საათზე,** გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია”) სხდომა, სადაც განიხილება სს ,,სილქნეტის“ წინააღმდეგ მომხმარებელ ლ. გურგენიძის განცხადების განხილვის მიზნით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხი (საფუძველი: მომხმარებელ ლ. გურგენიძის 2021 წლის 18 თებერვლის N შ-21-9/743 განცხადება).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად

გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

ასევე, გთხოვთ, კომისიის 2021 წლის 25 თებერვლის სხდომამდე კომისიაში წარმოადგინოთ სს ,,სილქნეტსა" და მომხმარებელ ლ. გურგენიძეს შორის დადებული ხელშეკრულება ინტერნეტ მომსახურებისა და მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების მიწოდების თაობაზე.

დანართი:

1. მომხმარებელ ლ. გურგენიძის 2021 წლის 18 თებერვლის N შ-21-9/743 განცხადება თანდართული დოკუმენტაციით.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია